ახალი ხარაგაული

372 (3) 19 თებერვალი, 2018 წ.

ხარაგაულის მერი ნიკოლოზ თოფურიძე ოფიციალური ვიზიტით უნგრეთში იმყოფებოდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე ოფიციალური ვიზიტით იმერეთის მხარის რწმუნებულის, გუბერნატორის მოადგილეებთან, გრიგოლ დალაქიშვილთან და იოსებ ხახალეიშვილთან, ასევე წყალტუბოს, ბაღდათისა და სამტრედიის მერებთან ერთად უნგრეთის ქალაქ სენტგორდჰარტში იმყოფებოდა.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა მოეწყო უნგრეთის პარლამენტში.

იმერეთის რეგიონის წარმომადგენლები შეხვდნენ უნგრეთის გარემოს დაცვის სახელმწიფო მდივანს, მეურნეებს, დელეგაციებს სლოვაკეთიდან, რუმინეთიდან, სლოვენიიდან და სერბიიდან. ასევე დაესწრნენ სზარავასკენდის კულტურულ ფესტივალს.

აღსანიშნავია, რომ მოხდა ორი ქალაქის - წყალტუბოსა და სენტგორდჰარტის - დამეგობრება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის მჭიდრო ურთიერთობას.

როგორც ჩვენთან საუბარში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი, ნიკოლოზ თოფურიძე აცხადებს, ვიზიტის ძირითად მიზანს იმერეთის მხარეში დაგეგმილი პროექტების უნგრული მხარისადმი გაცნობა წარმოადგენდა.

„მონაწილეობა მივიღეთ სხვადასხვა ფესტივალში. ასევე მოვინახულეთ ფერმები, ღვინის მარნები და სოფლის მეურნეობის სავარგულები. უნგრეთში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ სოფლის მეურნეობის განვითარებას. ძალიან მშრომელი ხალხი ცხოვრობს. განსაკუთრებულია მათი დამოკიდებულება ვაზის კულტურასთან. ვენახები ყველგან დაცულია სეტყვის საწინააღმდეგო ბადეებით. ხუთ სხვადასხვა მერიაში ვიყავით. მოვიხიბლე, ისე საინტერესოდ აქვთ მოწყობილი თვითმმართველობები. ვფიქრობ, ჩვენი ქვეყნის კურსიც სწორედ ამ მიმართულებით მიდის და იმედი მაქვს, მალე საქართველოს სოფლებიც ისეთივე ცივილიზებული გახდება, როგორც ეს ევროპაშია. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის ფარგლებში, ქალაქ სენტგორდჰარტსა და წყალტუბოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს უკვე მოეწერა ხელი. შესაძლებელია, გუბერნიის დახმარებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის რომელიმე სოფელიც დაუმეგობრდეს უნგრეთს. ამ საკითხზე საუბრები აქტიურად მიმდინარეობს.“ - აღნიშნა ნიკოლოზ თოფურიძემ.

შეგახსენებთ, რომ დელეგაცია უნგრეთში 6 თებერვალს გაემგზავრა და საქართველოში 12 თებერვალს დაბრუნდა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიასა და განათლების სამინისტროს შორის მემორანდუმი გაფორმდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერა ხელი.

მემორანდუმის მიზანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოების, ასევე მოსწავლეთა სკოლაში ტრანსპორტირების მომსახურების ეფექტურად განხორციელება გახლავთ.

მემორანდუმი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირს შორის გაფორმდა.

მერიის უფლება-მოვალეობაა მოამზადოს სამშენებლო და სარეაბილიტაციო ობიექტებზე ჩასატარებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, მოსწავლეთა სკოლაში ტრანსპორტირების განხორციელებისა და მონიტორინგის გეგმა და წარადგინონ შესაბამის სააგენტოში.

სააგენტო უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის

შესწავლას და შესათანხმებლად წარუდგენს განათლებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებს. თავის მხრივ, სამინისტროები განიხილავენ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და ამის შემდეგ მიმართავენ საქართველოს მთავრობას დაფინანსების მიზნით.

ყოველივე ამის შემდეგ გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში, მუნიციპალიტეტები მიზნობრივად განახორციელებენ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების, ასევე მოსწავლეთა სკოლაში ტრანსპორტირების მომსახურების შესყიდვას.

კიცხის ადმინისტრაციულ ერთეულში უფასო სამედიცინო აქცია ჩატარდა

ხარაგაულის რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის (მენეჯერი შალვა ბიჭიაშვილი) ორგანიზებით კიცხის ადმინისტრაციულ ერთეულში უფასო სამედიცინო აქცია მოეწყო.

ადგილობრივებს სამედიცინო მომსახურების მიღება მთელი დღის განმავლობაში შეეძლოთ. აქციის მიმდინარეობის პროცესს მაჟორიტარი დეპუტატი აკაკი ლურსმანაშვილი და საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ოთარ ლურსმანაშვილი დაესწრნენ.

უფასო კონსულტაციები და კვლევები ხარაგაულის კლინიკის ექიმებმა ჩაატარეს და ადგილობრივებმა მიიღეს: კარდიოლოგის, თერაპევტის, ქირურგისა და ენდოკრინოლოგის მომსახურება. ასევე ჩატარდა ექოსკოპიური და კარდიოგრაფიული კვლევები.

როგორც ხარაგაულის სამედიცინო დაწესებულების მენეჯერი შალვა ბიჭიაშვილი აცხადებს, მსგავსი აქტივობები სოფლად მცხოვრებთათვის უმნიშვნელოვანესია, რადგან პაციენტებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროულ დიაგნოსტიკას. მისივე ინფორმაციით, მუნიციპალიტეტის ისეთ სოფლებში, სადაც სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა ნაკლებია, ასეთი აქციები მომავალშიც აუცილებლად გაიმართება.

„მაქსიმალურად ვცდილობთ, დავეხმაროთ მოსახლეობას. დღევანდელი დღეც სწორედ ამის დასტურია. ადგილობრივებმა სოფლიდან გაუსვლელად პროფესიონალი ექიმებისგან მიიღეს კონსულტაცია. მადლობა სამედიცინო პერსონალს და ყველა იმ ადამიანს, რომლებიც გვერდში დაგვიდგნენ და არ დაზოგეს საკუთარი შესაძლებლობები ამ უანგარო საქმის გასაკეთებლად. განსაკუთრებული მადლობა ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორს, შმაგი ხიჯაკაძეს, რომლისგანაც უდიდესი მხარდაჭერა გვქონდა. ვფიქრობ, ღონისძიება საკმაოდ პროდუქტიული და სასარგებლო გამოვიდა.“ - დასძინა შალვა ბიჭიაშვილმა.

კიცხის მაჟორიტარმა დეპუტატმა აკაკი ლურსმანაშვილმა მადლობა გადაუხადა აქციის ორგანიზატორებს და იმედი გამოთქვა, რომ კლინიკის მენეჯერი შალვა ბიჭიაშვილი აუცილებლად გააგრძელებს მსგავს ღონისძიებებს და არაერთ მოქალაქეს დაეხმარება ჯანმრთელობის შენარჩუნებაში.

ქირეცა- მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის გზის მეორე მონაკვეთის რეაბილიტაციის მიზნით სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება მიმდინარეობს

საქართველოს გარემოს დაცვისა და საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლები ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს, არჩილ მაღრაძეს, შეხვდნენ.

შეხვედრაზე მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის 26 კმ-იანი (მეორე ლოტი) მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების გეგმა განიხილეს.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის გარემოს დაცვის კონსულტანტის, ლუიზა ბუბაშვილის, ინფორმაციით, მეორე ლოტის მშენებლობისათვის მიმდინარეობს სატენდერო პაკეტის შემოწმება და დოკუმენტაცია გაგზავნილია ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროში. „შემაფერხებელი გარემოება გახლდათ ის, რომ აზიის განვითარების ბანკმა მერიის მოთხოვნის საფუძველზე დაგვავალა, ვიბრაციასთან

გაგრძელება ▶ 2 გვ.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

ძირულა-ბოლითი-ფოთა-ჩუმათელეთის გზის მეორე მონაკვეთის რეაბილიტაციის მიზნით სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება მიმდინარეობს

დასაწყისი ▶ 1 გვ.

დაკავშირებით წინასწარ ჩაგვეტარებინა კვლევა. დაახლოებით ერთ თვეში დაიდება შედეგი, რა გავლენას მოახდენს გზის მშენებლობა საცხოვრებელ სახლებზე. თუკი რომელიმე მოექცევა მძაფრი ზემოქმედების ქვეშ, ქონება გამოსყიდული იქნება და დაზარალებული არავინ დარჩება“. - განმარტა ქალბატონმა ლუიზამ.

მისივე ინფორმაციით, პრობლემურია ასევე ნარჩენების მართვის საკითხიც და აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარეობს გარკვეული ღონისძიებების გატარება. როგორც ლუიზა ბუბაშვილი აცხადებს, რკინიგზის მშენებლობის დროს წარმოიშვა ხელოვნური ნაგავსაყრელები და მსგავსი აღარ განმეორდება, რადგან საავტომობილო დეპარტამენტი გეგმავს, ნარჩენების განსათავსებლად კერძო საკუთრებაში არსებული ტერიტორიები მოიძიოს.

აქვე აღინიშნა, რომ პროექტის ზედამხედველად უცხოური კომპანია შეირჩევა, რომელიც გააკონტროლებს გზაზე შესრულებული სამუშაოების ხარისხს და ასევე გარემოზე ზემოქმედების შედეგსაც.

შეხვედრაზე ასევე საუბარი იყო ძირულა-ხარაგაული-ჩუმათელეთის გზის პირველი მონაკვეთის რეაბილიტაციაზე. როგორც ცნობილია, ტენდერში გამარჯვებული კომპანია გამოვლენილია და პირველი ლოტის მშენებლობა (25კმ) მარტიდან დაიწყება. პროექტის ხანგრძლივობა ჩვიდმეტი თვეა და სამუშაოებზე ადგილობრივების დასაქმება იგეგმება.

მერის პირველი მოადგილის, არჩილ მაღრაძის, განმარტებით, აუცილებელია, სამუშაოების დაწყების შესახებ მუნიციპალიტეტს ჰქონდეს ინფორმაცია, რათა ცენტრალურ გზასთან მდებარე სოფლებში (საუბარია მუნიციპალური გზების მშენებლობაზე) ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას ხელი არ შეეშალოს და ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან კოორდინირებულად იმოქმედონ. ამ მიზნით მერის პირველი მოადგილე სამუშაოების გეგმა-გრაფიკს აუცილებლად გამოითხოვს საგზაო დეპარტამენტიდან.

აღსანიშნავია, რომ რეგიონის სოციალ-ეკონომიკური განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ძირულა-ჩუმათელეთის გზის რეაბილიტაციას. ის გამოაცოცხლებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებს და გაუმჯობესდება სავაჭრო და ტურისტულ ობიექტებთან კავშირი.

შეგახსენებთ, რომ რეაბილიტაცია განხორციელდება არსებული გზის ფარგლებში და 50 კმ-იანი მონაკვეთი ორზოლიანი იქნება. თითო ზოლის სიგანეა -3მ, ხოლო სავალი ნაწილის- 6მ. შეგახსენებთ, რომ სამშენებლო სამუშაოებს აზიის განვითარების ბანკი აფინანსებს.

ეკა შავიძე

ახალგაზრდული ფორუმის პირველ სხდომას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები ღაესწრნენ

თბილისის საკრებულოში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით, „ადგილობრივი თვითმმართველობების პირველი ახალგაზრდული ფორუმი“ გაიხსნა, რომელსაც დელეგატის სტატუსით საქართველოს 64 მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალგაზრდა წევრები, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, გიორგი კვირიკაშვილი, მთავრობის წევრები და დედაქალაქის მერი კახი კალაძე დაესწრნენ. ღონისძიებაზე ხარაგაულიდან საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე და ახალგაზრდა დეპუტატები: ოთარ ლურსმანაშვილი და ვარლამ ჭიპაშვილი იმყოფებოდნენ.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, ფორუმის მიზანია საქართველოში ახალგაზრდობის პოლიტიკის განსაზღვრა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და მომავალი თაობის წარმოჩენა.

მონაწილეებს სიტყვით მიმართა საქართველოს პრემიერ - მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა და თბილისის მერმა კახი კალაძემ. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ახალგაზრდული ფორუმის მონაწილეებს წარმატებები უსურვეს და ღონისძიების მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

დასასრულს, საკრებულოს ახალგაზრდა წევრები შეთანხმდნენ, რომ ფორუმი ორ წელიწადში ერთხელ გაიმართოს.

ეკა შავიძე

ხიდარში დაწყებითი განათლების ახალი სკოლა აშენდება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდარში დაწყებითი საჯარო სკოლის კორპუსის მშენებლობა იწყება. სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ტენდერში გამარჯვებული კომპანია უკვე გამოავლინა. საუკუნოვანი სკოლის ამორტიზებული შენობის დემონტაჟის პროცესს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, თეიმურაზ მურღულია, ხარაგაულის მერის პირველი მოადგილე, არჩილ მაღრაძე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, თინათინ ბოჭორიშვილი და საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე, დავით კიკნაძე, ადგილზე გაეცნენ.

მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, ხიდრის დაწყებითი განათლების ოპტიმიზირებული სკოლის ახალი კორპუსი თანამედროვე სტანდარტებს მისადაგებული იქნება, სადაც განთავსდება საკონფერენციო დარბაზი და მოეწყობა ყველა საჭირო სივრცე, რაც მოსწავლეებისთვის იქნება სავალდებულო.

აღსანიშნავია, რომ ძველი შენობის დემონტაჟი თითქმის დასრულებულია და ხიდარში ახალი სკოლის მშენებლობა უახლოეს დღეებში დაიწყება.

ხარაგაულის სამედიცინო დაწესებულებაში ოტო-რინო-ლარინგოლოგიური ოპერაციები ჩატარდება

ერთ თვეზე მეტია, რაც ხარაგაულის სამედიცინო დაწესებულებას ახალი მენეჯერი ჰყავს. შალვა ბიჭიაშვილი მუნიციპალიტეტში საინტერესო და ფრიად საჭირო იდეებით დატვირთული ჩამოვიდა. იგი მოსახლეობას მრავალი სიახლის განხორციელებასა და საავადმყოფოს სრული დატვირთვით ამუშავებას დაჰპირდა. სწორედ მისი აქტიური მუშაობით და რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის (დირექტორი ნუგზარ ბოლქვაძე) მხარდაჭერით კლინიკის შევსება სხვადასხვა პროფილის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით ეტაპობრივად მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ პაციენტებს ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი ვახტანგ მატარაძე გაუწევს მომსახურებას. იგეგმება ამ მიმართულებით ოპერაციების გაკეთებაც. ბატონ ვახტანგს აღნიშნულ სფეროში მუშაობის 37-წლიანი გამოცდილება აქვს. მან წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, რის შემდეგაც გადამზადების კურსები გაიარა რამდენიმე წამყვან კლინიკასა და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში, ასევე ბელორუსიაში, ქ. მინსკში. დღეისათვის ვახტანგ მატარაძე სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში ატარებს ოტო-რინო-ლარინგოლოგიურ ოპერაციებს და ძალზე სასიხარულოა, რომ ხარაგაულის მოსახლეობას შესაძლებლობა ექნება, აღნიშნული სერვისით ადგილზე ისარგებლოს.

გარდა ამისა, როგორც ჩვენთან საუბარში შალვა ბიჭიაშვილი აანონსებს, მარტის თვიდან საავადმყოფოში რეანიმაციული განყოფილება დაიწყებს ფუნქციონირებას. მისივე ინფორმაციით, ამ ეტაპზე აღნიშნულთან დაკავშირებით მოლაპარაკებები მიმდინარეობს რეანიმატოლოგებთან.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გეგმიური ოპერაციების დაფინანსების პრინციპი შეიცვალა და მოსახლეობისთვის უფრო ხელმისაწვდომი და მარტივი გახდა.

„საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მოსარგებლეებს გეგმიური ოპერაციის დაფინანსებისათვის სერვისცენტრში უხდებოდათ მისვლა და საგარანტიო წერილისათვის რიგში დგომა. აქედან გამომდინარე, ჯანდაცვის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, ფორმა N 100 და წინასწარი კალკულაციის ატვირთვა საყოველთაო ჯანდაცვის პორტალზე თავად კლინიკამ უზრუნველყოს. ამის შემდეგ კი კონკრეტული პერიოდის განმავლობაში მოხდება ოპერაციების დაფინანსება. ვფიქრობ, ყველა საჭირო დოკუმენტაციის ადგილზე შედგენა მოქალაქეებისათვის დიდი შეღავათია,“- განმარტავს ხარაგაულის სამედიცინო დაწესებულების მენეჯერი შალვა ბიჭიაშვილი.

ლელა გუგულაშვილი

რა სიახლეებს გვპირდება მიმდინარე წელს სოფლის მეურნეობის სამსახური

სოფლის მეურნეობის განვითარება ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია და ამ მიმართულებით ბოლო წლებში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ ეს პროექტები მუდმივად იხვეწება, ფართოვდება და ახალი მიმართულებები ემატება. ყოველივე ეს კი სოფლად სამუშაო ადგილების შექმნის მყარი გარანტიაა. რა სიახლეები იგეგმება მიმდინარე წელს ამ კუთხით სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო - საკონსულტაციო სამსახურის უფროსი, ბონდო კიკნაველიძე გვესაუბრება.

-გასული წელი საკმაოდ წარმატებული და ნაყოფიერი გახლდათ. განვახორციელეთ არაერთი პროგრამა და ვატარებდით ადგილობრივებთან შეხვედრებს, ვეხმარებოდით ფერმერებს ამა თუ იმ პროგრამაში ჩართვასა და განხორციელებაში. 2018 წელს უფრო მეტი აქტიურობითა და შემართებით ვიწყებთ. სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს მთავრობა მნიშვნელოვან პროგრამას „დანერგე მომავალი“ ახორციელებს. ამ მხრივ დაინტერესება მუნიციპალიტეტში დიდია, თუმცა სხვადასხვა კრიტერიუმის დაკმაყოფილებაა საჭირო. პირი უნდა ფლობდეს ერთ ან მეტ ჰექტარ სამეურნეო მიწის ნაკვეთს, რომელსაც უკეთდება ნიადაგის ანალიზი. ვატარებთ მონიტორინგს და ადგილზე ვეცნობით მიწის მდგომარეობას. ერთ-ერთმა გამოთქვა სურვილი ამერიკული ჯიშის ჩანდლერის კაკალი გააშენოს. ასევე მალე დაიწყება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროექტი მცირე მეწარმეთა ხელშეწყობისათვის. გრანტი გაიცემა პროექტის წარმოდგენისა და მისი მოწონების შემთხვევაში, ერთ პიროვნებაზე 5000 ლარის ოდენობით. პროგრამაში ჩართვის შემთხვევაში ფერმერს ამოწმებს დამფინანსებელი, თუ როგორ გამოიყენა ეს თანხა. აღსანიშნავია, რომ მოქმედებს აგროდაზღვევის პროგრამა, რომელიც მეწარმეს სტიქიისაგან მიყენებულ ზარალს უნაზღაურებს. სამწუხაროდ, ხარაგაულში დაზღვეული არავის არ აქვს მიწის ნაკვეთი.

-ბოლო წლების განმავლობაში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით არაერთი კოოპერატივი შეიქმნა. ამ ეტაპზე ფუნქციონირებს თუ არა რომელიმე?

- ამჟამად გვაქვს 4 მოქმედი კოოპერატივი: „მეღვინეობა კიცხი“, „იმერეთის ნატურალური პროდუქტები“, „თაფლი მარგებელი“ და „სარგო“. სასიამოვნოა, რომ დღითიდღე იზრდება მათი პროდუქცია. მოგეხსენებათ, რომ შეხვედრებს ვატარებთ ადგილობრივებთან და ვაცნობთ სოფლის-მეურნეობის დარგში არსებულ სიახლეებს. ვფიქრობ, თუ ასე გავაგრძელებთ მუშაობას კოოპერატივების შექმნით შესაძლოა, უფრო მეტი დაინტერესდეს.

- გასულ წელს ხარაგაულში მსხვილფეხა - რქოსან პირუტყვთა ხელოვნური განაყოფიერების პროგრამა ამოქმედდა. როგორ გაამართლა პროექტმა და გაგრძელდება თუ არა მიმდინარე წელსაც?

- გასულ წელს ადგილობრივმა თვითმმართველობამ ამ პროექტისათვის 5000 ლარი გამოყო. ფურთა ხელოვნურ განაყოფიერებას ექიმ-ვეტერინარი ლევან დეკანოსიძე ახდენდა, რომელმაც გადამზადება თბილისში „კავკასიის გენეტიკის ცენტრში“ გაიარა. მოხდა 23 ფურის განაყოფიერება. პროგრამა მიმდინარე წელს კვლავ გრძელდება. აღსანიშნავია, რომ ფერმერი მსხვილფეხა-რქოსანი პირუტყვის განაყოფიერებაში წელსაც მხოლოდ 50%-ს გადაიხდის, ყოველივე ეს კი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირების დამსახურებაა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მათ.

თამარ მაღრაძე

„შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე, მისგან ქმნილი!“

ვფიქრობდი, რა სათაური მიმეცა საგაზეთო წერილისათვის, რომელსაც შევბედავდი „ჭიდაობის მოცარტს“, „ბეჭდაუდებელ ფალავანს“, ქართული სპორტის ლეგენდას, ბატონ რომან რურუას...

იმ დღეს უბედნიერესი იყო ყველა ის მაყურებელი, რომელიც ხარაგაულის სამუსიკო სკოლის დარბაზში ისმენდა რეზო თაბუკაშვილის სახელობის ხარაგაულის სახალხო ლიტერატურული თეატრის ხელმძღვანელის, ქალბატონ იზა ვეფხვაძის, საავტორო სპექტაკლს „ბეჭდაუდებელი ფალავნის ჭიდილი დროსთან“.

სპექტაკლს მუნიციპალიტეტის მერ ნიკოლოზ თოფურიძესა და ხარაგაულის ინტელექტუალურ საზოგადოებასთან ერთად ესწრებოდა საგანგებოდ მოწვეული სპექტაკლის გმირი, ბატონი რომან რურუა...

დარბაზს სცენიდან ბრილიანტებად ეფინებოდა სიტყვა ქართული, მსახიობის ოსტატობით ცოცხლდებოდა ლეგენდარული სპორტსმენის ამაღლებული ცხოვრების ეპიზოდები და გვექმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ოთხგზის მსოფლიო და ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონ ბატონ რომან რურუასთან ერთად ვიყავით კანადაშიც, იაპონიაშიც, არგენტინაშიც, მექსიკაშიც, რუმინეთშიც, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც და სად აღარ... თითქოს მოწმენი ვხდებოდით დიდ სპორტულ დარბაზებში მაყურებელთა ოვაციის ფონზე როგორ მიიწევდა მაღლა-მაღლა ქართული დროშა, ჟღერდა საქართველოს ჰიმნი, როგორც ღვთიური საგალობელი, ჭეშმარიტი რაინდი რომან რურუა კი იდგა საჭიდაო ხალიჩაზე... არა, საჭიდაო ხალიჩაზე კი არა - ოლიმპოს მთაზე, როგორც შუბლდადაფნული ოლიმპიელი და მართლაც ოლიმპიური სიმშვიდით ხვდებოდა მორიგ გამარჯვებას, მისკენ მიმართულ მაყურებელთა ზღვა ემოციას...

„არის, ასრულდა ოცნება!“

1968 წელი. მექსიკის დედაქალაქი მეხიკო... ოლიმპიური თამაშების ბოლო დღე... თამაშდება ოლიმპიური თამაშების ბოლო, 172-ე ოქროს მედალი...

რომან რურუა ელოდება გამოძახებას, დარჩენილია 15 წუთი ... კლასიკური ჭიდაობის რვა მსოფლიო ჩემპიონიდან შვიდმა დაამთავრა ასპარეზობა... არც ერთი ოქროს მედალი... ასეთი რამ ისტორიას არ ახსოვს. აშკარად ჩანდა განწყობა, საბჭოთა გუნდი დაეტოვებინათ ოქროს მედლის გარეშე. რომან რურუა შეჯიბრის განმავლობაში სამჯერ გაისინჯა დოპინგზე...

თითქოს საუკუნედ იქცა მოლოდინის თხუთმეტი წუთი... და გაიფანტა დაძაბულობა, როცა დარბაზში გაისმა: რომან რურუა !

მორიგი შერკინებისათვის მოუხმეს ფალავანს საჭიდაო ხალიჩაზე ... დინჯად მიემართება სპორტსმენი ძლიერ მოწინააღმდეგესთან შესაბმელად, რომ კიდევ ერთხელ ასახელოს თავისი საფიცარი საქართველო, დაიცვას ქართული სპორტის ღირსება, გულში კი უჩუმრად შემწედ უხმობს უფალს, ქართულ ჯვარ-ანგელოზებს...

რამდენიმე მართლაც ჯადოსნური, სწორედ რურუასეული საჭიდაო ილეთი და მოწინააღმდეგის ბეჭები გაეკრა ხალიჩას...

„არის, ასრულდა ოცნება! არის, ასრულდა მიზანი!..“ ქართველი ფალავანი მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლის მფლობელი გახდა...

***

სპექტაკლით მონიჭებული სიამოვნება დააგვირგვინა ჩვენმა საპატიო სტუმარმა იმ ბუნებრივი კონტაქტით, რომელიც მაყურებელთან დაამყარა. მან საოცარი თავმდაბლობით უპასუხა მასპინძელთა ყველა შეკითხვას, თავმდაბლობას იმიტომ გავუსვი ხაზი, რომ მის პასუხებში სპორტული აღმასვლით გამოწვეული სიამაყე ან მედიდურობა ოდნავადაც არ შეინიშნებოდა... საუბრობდა ისე, თითქოს ეს წარმატებანი სხვისი წილხვედრი იყო და არა საკუთრივ მისი...

და მაინც იბადება უმთავრესი კითხვა: რა არის ამ, მართლაც,ზღაპრულ წარმატებათა საიდუმლო?

პასუხი: შრომა, თავდაუზოგავი შრომა, ქართული მიწის მადლი და უფლის მფარველობა!

შრომა? მიწის მადლი? დიახ, მიწის მადლი... ეწვიეთ მცხეთაში, კოსმონავტების ქუჩაზე, რომან რურუას ეზოკარს და დარწმუნდებით, მარტოოდენ სპორტში კი არა, რა შეუძლია შრომასთან, მიწის მადლთან შეზიარებულ მშრომელ მარჯვენას...

ნუმც მოჰკლებოდეს ეს მადლი და ძალა თქვენს შთამომავლობას უკუნითი უკუნისამდე, ბატონო რომან! სწორედ თქვენ გეკუთვნით, სათქვენოდ გაიმეოროთ პოეტის სიტყვები:

„მშობელ მიწაში მიდგას ფესვები,
როგორც წყალში დგას წნორის ძირები... “

თქვენი სტუმრობით გამოწვეული ყველა ხარაგაულელის მადლიერება დაიტია ჩვენი საყვარელი თანამემამულის, პოეტ გურამ სახვაძის, თქვენდამი ექსპრომტად მოძღვნილმა სტრიქონებმა (გთავაზობთ შემოკლებით):

„ბატონო რომან, დიდო ქართველო,
დასაფიცარო მართლაც ვაჟკაცო,
თქვენი სტუმრობით, ასე მგონია,
დღეს ჩვენ გვერდშია მთელი სამყარო,
ბედნიერ სახით შემოგცქერივართ,
ყველა ჩვენგანში ხიბლია სრული,
გულში გიხუტებთ ეს დარბაზი და
მთელი პატარა ხარაგაული!“...

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ ჩვენთან საუბარში ხაზი გაუსვა რომან რურუას დიდ დამსახურებას ქართული სპორტის წინაშე, მის მოქალაქეობრივ მისიას და კიდევ ერთხელ აღნიშნა მადლიერებით ის დიდი საქმე, რომელსაც ესოდენი ენთუზიაზმით წარმართავს ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის ხელმძღვანელი იზა ვეფხვაძე, რომლის დღევანდელმა სპექტაკლმა ძალზე საინტერესოდ ასახა რომან რურუას სპორტული ცხოვრების დიდი სამყარო.

***

ბატონო რომან! ისე შემოგეშველოთ ყველა კეთილი ძალა, როგორც მე ამ წუთებში დიდი შოთა რუსთველი შემომეშველა, რომ თქვენს საკადრისად წერილის სათაურად მისი უკვდავი სიტყვები გამომეყენებინა:

„შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე, მისგან ქმნილი“

ჭეშმარიტად!

ლრმა პატივისცემით,
მერი გიორგიძე
ხარაგაულის მესამე
საჯარო სკოლის პედაგოგი

სიყვარული - მყარი ოჯახის შექმნის საფუძველი

ქორწინება ქრისტიანულ რელიგიაში ერთ-ერთი საიდუმლოებათაგანია, ოჯახური ცხოვრება კი- ქრისტიანული ღვაწლი! არაფერი ისე არ იცავს ქორწინებას, როგორც სიყვარული. ეს გრძნობა ყოველთვის იმარჯვებს, აქრობს ეჭვებს, ამარცხებს შიშს და გვიბიძგებს ყველაზე დიდი საქმეებისაკენ. როცა გვსურს ვიყოთ ბედნიერები, აუცილებელია, ვიფიქროთ ოჯახის სიმტკიცეზე, რომელიც მოიაზრება, როგორც საყრდენი და საფუძველი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა. რა არის მთავარი სიყვარულის შენარჩუნებისა და ოჯახის სიმტკიცისათვის? ამ საკითხზე ჩვენი რუბრიკის სტუმარი, მესამე საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის წარმატებული პედაგოგი ნინო ბუაჩიძე გვესაუბრება.

ნინო და მისი მეუღლე გია ხარაძე, ერთმანეთს სკოლის პერიოდიდან იცნობდნენ. სიყვარული კი ცოტა მოგვიანებით ეწვიათ და დაქორწინება გადაწყვიტეს. სიყვარულით შექმნილმა ოჯახმა ბევრ განსაცდელს გაუძლო და დღეს ბედნიერად ცხოვრობენ. ჰყავთ სამი შვილი და სამი შვილიშვილი.

ნინო ბუაჩიძე: ფარცხნალში დავიბადე და გავიზარდე. დავამთავრე ხარაგაულის მესამე საჯარო სკოლა (ყოფილი რკინიგზის მეათე საშუალო), რის შემდეგაც სწავლა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში გავაგრძელე. ოჯახი სიყვარულით შევქმენი. მე და გიას ერთმანეთი ხუთი წელი გვიყვარდა. მომხიბლა მისმა საოცარმა თვისებამ- მუდამ მზად იყო, სასიამოვნო სიურპრიზებით გავეხარებინე. ჩემში დიდ ემოციას იწვევდა ისიც, რომ უყვარდა სიმღერა და ხშირად მიძღვნიდა. 33 წელია, ერთად ვართ, ერთმანეთს ყოველთვის გვერდით ვუდექით და ასეა დღესაც. როცა საქართველოში მძიმე წლები იყო, ყველას გვიჭირდა. ამ წლებში გია რუსეთში წავიდა სამუშაოდ. რთული იყო განშორება, მაგრამ იმ სიყვარულით, რაც ერთმანეთთან გვაკავშირებდა, ყველა განსაცდელს გავუძელით. 55 წლის გავხდი რამდენიმე დღის წინ და რომ გადავხედე განვლილ ცხოვრებას, ერთ რამეში დავრწმუნდი, ყველაზე მთავარი ბედნიერებისთვის არის სიყვარული, თუ გიყვარს ყველა დაბრკოლებას მარტივად გადალახავ. ურთიერთპატივისცემა აუცილებელია ოჯახურ ცხოვრებაში. გვყავს სამი შვილი: ია, ნატა და ბექა. უფროსმა გოგონამ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა და სწავლა გერმანიაში განაგრძო. როცა საზღვარგარეთ წასვლის გადაწყვეტილება მიიღო, დამიმალა, იცოდა, წინააღმდეგი ვიქნებოდი, მაგრამ, მან თავისი მიზნის მისაღწევად ბევრი იშრომა და წინააღმდეგობა ვეღარ გავუწიე. წელს დაამთავრა მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის სახელობის უნივერსიტეტი. ჰყავს ერთი ვაჟი, გიორგი, რომელიც ჩვენთან იზრდება, ყოველ ზაფხულს დედას სტუმრობს გერმანიაში. მეორე გოგონაც დაოჯახებულია, ორი შვილის დედაა, ვაჟიც დღესდღეობით გერმანიაში თავის დასთანაა და ისიც აპირებს სწავლის გაგრძელებას.

მე და გიას დიდი მისია გვაკისრია - შვილიშვილს ვზრდით, ვმუშაობთ, ორივეს გვაქვს ჩვენი საყვარელი საქმე. გია სოფელ ფარცხნალში მერის წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელია, თითქმის 31 წელია, პედაგოგად ვმუშაობ. ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია. მართალია, რთული და შრომატევადია სკოლაში მუშაობა, მაგრამ არასოდეს მიფიქრია, დამეტოვებინა და ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სხვა სამსახურზე მეფიქრა.

გია ხარაძე: დაქორწინებამდე კარგად მქონდა გაცნობიერებული ის დიდი პასუხისმგებლობა, რაც ოჯახის შექმნასთანაა დაკავშირებული. მე და ჩემი მეუღლე თანასოფლელები ვართ, ერთმანეთს კარგად ვიცნობდით და დაქორწინების შემდეგ ხასიათთა შეწყობაში პრობლემა არ გვქონია. ოჯახში ქალისა და იმავდროულად დედის მოვალეობა დიდ შრომასა და ენერგიას მოითხოვს. მუდამ ვცდილობდი, რომ ოჯახური ტვირთის სიმძიმე შემემსუბუქებინა ნინოსთვის. გვახსოვს, რა მძიმე იყო 90-იანი წლები. ვეძებდით ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების გზებს. ბოლოს ისევ მე „გავიმეტე ოჯახი და შვილები“. დროებით მოშორებულს, გულწრფელად გეტყვით, ერთი დღეც არ მიცხოვრია ჩემი მეუღლისა და შვილების გარეშე. მარტო საკუთარ ოჯახზე ფიქრით არასდროს ვიფარგლები, ჩემი ენერგია და გულის სითბო ყველას მინდა გავუნაწილო: მეგობარს, მეზობელს, ახლობელს...

ნათქვამი რომ არის „შვილმა გულში გაიარა, შვილიშვილმა - გულის გულშიო“ ზუსტად ასეა. ჩემი და ნინოს საზრუნავი ახლა შვილიშვილებია. გიორგი დედის სწავლის გამო, უშუალოდ ჩვენთან იზრდება. ვცდილობთ, არაფერი შეგვეშალოს, სითბო არ მოვაკლოთ და ღირსეულ ქართველად აღვზარდოთ.

მე ასე მწამს, როცა სიყვარულია ოჯახის შექმნის საფუძველი, ოჯახი მყარი და ბედნიერია.

ქალბატონო ნინო!

როგორც თქვენ და თქვენმა მეუღლემ ბრძანეთ, სიყვარული თქვენი ოჯახის ბედნიერების მასაზრდოებელი ძალაა. გილოცავთ საიუბილეო თარიღს- ახლახან შესრულებულ შინაარსიანი ცხოვრების 55 წელს, გისურვებთ სამომავლოდ კვლავ მშვიდსა და ბედნიერ ყოფას თქვენს საყვარელ ადამიანებთან და აღსაზრდელებთან ერთად. ყველა კეთილი ჩანაფიქრი აგასრულებინოთ უფლის მადლმა და სიყვარულის ყოვლისშემძლე ძალამ!

ლელა გუგულაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 100 წლის იუბილეს ხარაგაულის ისტორიული მუზეუმი შეუერთდა

ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 100 წლის იუბილე აღინიშნა. კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით 1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით, 8 თებერვალს), დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს გაიხსნა და რექტორად პეტრე მელიქიშვილი აირჩა.

ისტორიულ მუზეუმში ხარაგაულელმა ახალგაზრდებმა ორიგინალურად და საინტერესოდ გააცოცხლეს უნივერსიტეტის დამფუძნებელთა პირველი კრება, რომელსაც ექვთიმე თაყაიშვილი უძღვებოდა. ასევე მოგვითხრეს დავით აღმაშენებლის მეფობის მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ.

ხარაგაულის ისტორიული მუზეუმის ფონდების მთავარმა მცველმა ქალბატონმა ეკა შველიძემ ვრცლად ისაუბრა იმ წვლილის შესახებ, რაც უნივერსიტეტის განვითარების საქმეში ხარაგაულელებმა შეიტანეს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ერთ-ერთი რექტორი, ჩვენი თანამემამულე, აკადემიკოსი ევგენი ხარაძე გახლდათ.

მრავალფეროვანი და საინტერესო ღონისძიებისათვის მუზეუმის თანამშრომლებს მადლობა გადაუხადა მერიის კულტურის სამსახურის უფროსმა ირინე ჩხეიძემ, რომელიც ახალგაზრდებს დედაქალაქში ექსკურსიას დაჰპირდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გასაცნობად და ეროვნულ მუზეუმში „მიქელანჯელოს და სიქსტეს კაპელას“ გრაფიკული ნამუშევრების გამოფენის დასათვალიერებლად.

„ეს იყო მართლაც საოცარი წარმოდგენა თავისი ვიზუალითა და შინაარსით, მადლობა ღონისძიების მონაწილეებს, რომლებმაც ასე დამაჯერებლად მოირგეს ჩვენი სახელოვანი წინაპრების როლი და დიდი სიამოვნება მოგვანიჭეს. მუზეუმი ხარაგაულის კულტურის სავიზიტო ბარათია და მიხარია, რომ მომეცა საშუალება, თქვენთან ერთად მეზეიმა უნივერსიტეტის დაარსების 100 წლის იუბილე.“-დასძინა ირინე ჩხეიძემ.

ღონისძიებას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ, რომლებმაც ღონისძიების ორგანიზატორებისა და მონაწილეების მიმართ სამადლობელი სიტყვები არ დაიშურეს.

ლელა გუგულაშვილი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია გზების მშენებლობის ხარისხს მკაცრად აკონტროლებს

ხარაგაულის მერიაში შექმნილმა ინსპექტირების კომისიამ, რომლის თავმჯდომარეც ხარაგაულის მერის პირველი მოადგილე არჩილ მაღრაძეა, კომისიის წევრებთან - თემური თაბუკაშვილთან და აფრასიონ ლურსმანაშვილთან ერთად, სოფელ ჩხერში გზაზე ბეტონის საფარის უხარისხოდ დაგების ფაქტი აღმოფხვრა. თემური თაბუკაშვილის ინფორმაციით, ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე ბეტონის მასის დასხმამდე, გზა უნდა დაიგრუნტოს, მოეწყოს შემასწორებელი ფენა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით, ზედაპირი გასწორდეს, დაიტკეპნოს და ამის შემდეგ დაიწყოს ბეტონის საფარის დაგება.

ინსპექტირების კომისიამ, ხელშეკრულების პირობების დარღვევის ფაქტის აღმოჩენის შემდეგ, ადგილზე მყოფ საქმის მწარმოებელს სამუშაოების შეჩერება მოსთხოვა, თუმცა კომპანიამ მითითება არ გაითვალისწინა და გზის მშენებლობა ხარვეზით(სველ და ატალახებულ გზაზე) განაგრძო. ზედამხედველობის ჯგუფის ერთობლივი გადაწყვეტილებით, ჩხერის გზის 20 მეტრიან მონაკვეთზე უხარისხოდ დაგებული ბეტონის საფარი აიყარა და სამუშაოები თავიდან განახლდა.

ხარაგაულის მერის პირველი მოადგილე არჩილ მაღრაძე ხაზგასმით განმარტავს, რომ გზების მშენებლობის ხარისხი მკაცრად გაკონტროლდება, რადგან სწორედ ხარისხიანად შესრულებული სამუშაოებია გზის შენარჩუნების გრძელვადიანი გარანტი.

ხარაგაულის რამდენიმე სოფელში ბეტონის საფარი დაიგება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ რამდენიმე სოფელში, გზების რეაბილიტაციის მიზნით ტენდერი გამოაცხადა. კერძოდ, ამ ეტაპზე იგეგმება ნუნისის გზის რეაბილიტაცია (სავარაუდო ღირებულება 311 444 ლარი); თეთრაწყაროსა და ახალსოფლის გზების რეაბილიტაცია(სავარაუდო ღირებულება 371 855 ლარი); ზედა ლაშისა და უჩამეთის გზების რეაბილიტაცია(სავარაუდო ღირებულება 440 709 ლარი); წყალაფორეთში, ბუდიანეთის უბნის, ლახუნდარაში ეკლესიის უბნისა და ხონის ცენტრალური გზების რეაბილიტაცია(სავარაუდო ღირებულება 531 169 ლარი); ვახანისა და სერბაისის გზების რეაბილიტაცია(სავარაუდო ღირებულება 331 087 ლარი); ხუნევში კალოს უბნისა და გრიგალათის გზების რეაბილიტაცია(სავარაუდო ღირებულება 460 063 ლარი); ნადაბურის გზის რეაბილიტაცია (სავარაუდო ღირებულება 727 502 ლარი); სოფელ დეისის სასოფლო გზის რეაბილიტაცია (სავარაუდო ღირებულება 536 937 ლარი); მარელისში კაპნარი -კელასოურის დამაკავშირებელი სასოფლო გზის რეაბილიტაცია (სავარაუდო ღირებულება 332 852 ლარი); ბორის სასოფლო გზის რეაბილიტაცია (სავარაუდო ღირებულება 421 975 ლარი); ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში ვაშლევის (მე-2 უბანში), საქასრიისა (რკინის ხიდის უბანში) და უბისის (ძინძიბოურის უბანში) სასოფლო გზების რეაბილიტაცია(სავარაუდო ღირებულება 447 770 ლარი); ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ღარიხევისა(დეკანოსიძეების უბანი) და ქროლის გზების რეაბილიტაცია (სავარაუდო ღირებულება 378 099 ლარი); იგეგმება ასევე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის დაბის ქუჩებისა და ჩიხების რეაბილიტაცია (სავარაუდო ღირებულება 209 140 ლარი);

აღსანიშნავია, რომ საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ერთ–ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. გასულ წელს, ამ კუთხით, დაახლოებით, 6 მილიონ - ნახევარი ლარი დაიხარჯა და საერთო ჯამში გზის კაპიტალური შეკეთება 26 სოფელში მოხდა. პირველ ეტაპზე პრიორიტეტი ისეთ სოფლებს მიენიჭა, სადაც კომპაქტური დასახლებებია.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს რეგიონული განვითარების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს 5 500 602 ლარი გამოეყო და აღნიშნული თანხით 22 სოფლის გზის კაპიტალური შეკეთება იგეგმება.

ეკა შავიძე

მოსწავლეზე ორიენტირებული გარემო მარელისის სკოლაში

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მარელისის საჯარო სკოლაში მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო ღონისძიებები ტარდება.

შიდა სასკოლო და გასვლითი აქტივობები პედაგოგთა ძალისხმევით ხორციელდება და იგი მოსწავლეთა შესაძლებლობასა და უნარებზეა გათვლილი.

მნიშვნელოვანია ეკოკლუბის საქმიანობა (პედაგოგები: სოფიო მესხი და ვერა ოდიკაძე), რომლის ფარგლებში ორჯერ გაიწმინდა სკოლის მიმდებარე ტერიტორია და გაშენდა წიწვოვან მცენარეთა ხეივანი. ასევე მოსწავლეებმა დაასუფთავეს მდინარე ჩხერიმელას სანაპირო.

საინტერესო და მრავალფეროვანია სკოლის ბიბლიოთეკარის, ინგა ვეფხვაძის, მიერ განხორციელებული ღონისძიებები: „ბიბლიის კონკურსები“, „წიგნის დღეები“, ისტორიული თარიღების აღნიშვნა და სხვა.

პედაგოგების მიერ მაღალ დონეზე მომზადებული საგნობრივი კონკურსები, ინტელექტთამაშები და სხვა მრავალი აქტივობა მრავალფეროვანს ხდის სასკოლო ცხოვრებას.

„მოსწავლეები არ უნდა შემოიფარგლონ მხოლოდ საგაკვეთილო პროცესებით და სასკოლო ცხოვრება უნდა იყოს აქტიური, მიზანმიმართული, მოსწავლეთა ცოდნის მიღებასა და უნარების განვითარებაზე ორიენტირებული. ჩვენი ვალია, აღსაზრდელებს გამოვუმუშაოთ დამოკიდებულებები საზოგადოებრივი ცხოვრების სწორი და ჯანსაღი მიმართულებების განსავითარებლად. ვფიქრობ, სასკოლო ცხოვრებას წარვმართავთ თანამედროვე სწავლების სტანდარტის შესაბამისად“,-აცხადებს სკოლის დირექტორი ვერა ოდიკაძე.

ეკა შავიძე

ჯანდაცვის ცენტრის ინიციატივით კიბოს მსოფლიო დღესთან დაკავშირებით უფასო სკრინინგ პროგრამა განხორციელდა

ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური ცენტრის ორგანიზებით (დირექტორი შმაგი ხიჯაკაძე), კიბოს მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, ხარაგაულის მოსახლეობისათვის სკრინინგის უფასო პროგრამა განხორციელდა. დაინტერესებულ პირებს გამოკვლევები ქ. ქუთაისში, კლინიკა „ჰერაში“, ჩაუტარდათ.

აღსანიშნავია, რომ პროგრამა მომავალშიც გაგრძელდება. დაინტერესებულმა პირებმა მიმართეთ ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრს. ტელ: 22 17 47; 577 14 05 33 ნანა ბერაძე.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი მადლიერებას გამოხატავს კლინიკა „ჰერას“ ხელმძღვანელის, მარიკა დავითულიანის, მიმართ, ესოდენ კეთილ საქმეში მონაწილეობისა და თანადგომისათვის.

პაპილომა ვირუსის შესახებ ჯანდაცვის ცენტრმა სემინარი გამართა

ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალურმა ცენტრმა (დირექტორი შმაგი ხიჯაკაძე) დაბის მესამე საჯარო სკოლაში საინფორმაციო-საგანმანათლებლო სემინარი გამართა თემაზე -„პაპილომა ვირუსი(აპვ).“ პრეზენტატორმა ნანა ბერაძემ დეტალურად ისაუბრა აღნიშნული დაავადების შესახებ. ყურადღება გამახვილდა ასევე გენიტალურ მეჭეჭებზე.

ქალბატონ ნანას განმარტებით, იმუნიზაცია ყველაზე ეფექტური და უსაფრთხო გზაა ბავშვის საშიში დაავადებისაგან დასაცავად. მისივე თქმით, მნიშვნელოვანია ნებისმიერი დაავადების დროული დიაგნოსტიკა და შემდგომ მისი სწორი მართვა.

შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხები გაეცა.

პრეზენტატორმა აქტიური თანამშრომლობისათვის მადლობა გადაუხადა მე-3 საჯარო სკოლის დირექტორს, მარინე ხვედელიძეს.

აღსანიშნავია, რომ ჯანდაცვის ცენტრი მსგავსი ტიპის ღონისძიებებს საჯარო სკოლებში პერმანენტულად ატარებს.

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12